ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №156/2016
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „23" სექტემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ **სსიპ - კონკურენციის სააგენტო** (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **რევაზ კავთელიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ადა"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გიორგი ღუღუნიშვილის სახით**, ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტონერიანი კარტრიჯებისა (CPV 30125100) და დამაგრძელებელი კაბელის დენის ფილტრით (CPV 312241810) , სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების გზით.

1.2. ხელშეკრულების საგნის აღწერილობა და ფასები მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. სახელშეკრულებო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") შეადგენს **2435,00** ( ორი ათას ოთხას ოცდა თხუთმეტი ) ლარს:

2.3. სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებულ მისამართამდე შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირების მომსახურებას.

## 3. მხარეთა ვალდებულებები

**3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:**

3.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

3.1.2 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში;

3.1.3 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

3.1.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

3.1.5 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

3.1.6 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

3.1.7 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**3.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

3.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და შესაბამისი ფორმით.

3.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დაცვაზე კონტროლს (მათ შორის, შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას) განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი რევაზ კავთელიშვილი;

4.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა.

4.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.4. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.4.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადგენა;

4.4.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის შემოწმება;

4.4.3. მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღე;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №154;

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა მიაწოდოს სასაქონლო ზედნადები, შესყიდვის ობიექტის დასახელების, რაოდენობის და საერთო ღირებულების მითითებით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.2. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან და მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

6.3. თუ საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდა, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნაკლოვანი საქონლის მიღებაზე და დაუბრუნოს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის ხარჯით.

6.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე მიწოდებული საქონელი ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მიღებულად.

6.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე) უფლებამოსილი პირია ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი რევაზ კავთელიშვილი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - დირექტორი გიორგი ღუღუნიშვილი.

## 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

7.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

7.3. სახელშეკრულებო ღირებულების ანგარისწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი შემსყიდველისათვის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;

7.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, არაუმეტეს 2016 წლის 31 ოქტომბრისა.

## 10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11.ფორს-მაჟორი

11.1.ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

11.2.ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

11.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ან უთანხმოება შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

12.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 13. სხვა პირობები

13.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

13.4.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

*სსიპ - კონკურენციის სააგენტო*
მის.ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N7
*ს/კ 205310938*
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.N154

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი
რევაზ კავთელიშვილი

მიმწოდებელი

*შპს „ადა"*
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N4
ს/კ 405027830
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ნ GE82BG 0000 0006 2652 9900

დირექტორი:
გიორგი ღუღუნიშვილი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2016 წლის 23 სექტემბერი N156/2016 ხელშეკრულების

დანართი N1

| N | საქონლის დასახელება | CPV | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | თანხა ჯამში (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კარტრიჯი CE278 არაორიგინალი | 30125100 | 30 ცალი | 18,00 | 540,00 |
| 2 | კარტრიჯი CE285A არაორიგინალი | 30125100 | 100 ცალი | 18,00 | 1800.00 |
| 3 | დამაგრძელებელი დენის ფილტრით 3 მეტრი | 31224810 | 5 ცალი | 9,00 | 45,00 |
| 4 | დამაგრძელებელი დენის ფილტრით 5 მეტრი | 31224810 | 5 ცალი | 10,00 | 50,00 |
| | | | | ჯამი | 2435,00 |

შემსყიდველი:

*სსიპ - კონკურენციის სააგენტო*
*ს/კ 205310938*

სააგენტოს ადმინისტრაციული
დეპარტამენტის უფროსი

რევაზ კავთელიშვილი

მიმწოდებელი

შპს „ადა“
ს/კ 405027830

დირექტორი

გიორგი ღულუბერშვილი